თავი 2
2012 წელი:
მონაცვლეობა თუ მარცხი?

ისტორია ჯიუტად აჩვენებს, რომ ყველა დიქტატურა და მმართველობის ავტორიტარული სისტემა წარმავალია. მდგრადია მხოლოდ დემოკრატიული სისტემები.

ვლადიმერ პუტინი, 1999 წ.

ილინის წარმოდგენები „უცოდველ ერზე“ სტაბილური სახელმწიფოს შესაქმნელად საჭირო ძალისხმევას ანაცვლებს. თუკი ამტკიცებ, რომ რუსეთის მხსნელი მსოფლიოს მოხიბლავს, ეს ნიშნავს, რომ გაურბიხარ კითხვას, თუ როგორ ააშენებს ის პოლიტიკურ ინსტიტუტებს. ვლადიმერ პუტინმა, რომელიც 2011-სა და 2012 წლებში არჩევნები გააყალბა, გმირის მანტია მოირგო და ქვეყანა ილინის დილემის წინაშე დააყენა: სანამ ის ცოცხალია, არავის შეუძლია შეცვალოს რუსეთის მდგომარეობა უკეთესობისკენ და არავინ იცის, რა მოხდება მისი სიკვდილის შემდეგ.

ილინის ფაშისტმა თანამედროვეებმა საკუთარ წარმოსახვაში მდგრადობის პრობლემა გადაჭრეს. 1940 წელს რუმინელმა ალექსანდრუ რანდამ განაცხადა, რომ ფაშისტი ლიდერები „ხალხს აქცევენ არმიად, საზღვრებისგან თავისუფალ corpus mysticus-ად [მისტიკურ სხეულად]“. მხსნელის ქარიზმა ხალხს ისტორიის საზღვრებს მიღმა აყენებდა. ადოლფ ჰიტლერი ამტკიცებდა, რომ მხოლოდ რასობრივ ბრძოლას ჰქონდა მნიშვნელობა და რომ ებრაელების განადგურება ხელს შეუწყობდა ბუნების მარადიული წონასწორობის შენარჩუნებას. „ათასწლიანი რაიხი“ თორმეტი წელი გაგრძელდა, ჰიტლერმა თავი მოიკლა. ვერც სახელმწიფო გადარჩა. პოლიტიკური სტაბილურობის პრობლემას ვერ წყვეტენ ისინი, ვინც მხოლოდ აწმყოზე ფიქრობს.

სახელმწიფოს ეფექტურობა მოქალაქეებს უწყვეტობის განცდას უქმნის. თუ სახელმწიფო სტაბილურია, მოქალაქეებს შეუძლიათ, შიშის გარეშე იფიქრონ ცვლილებებზე. ძალაუფლების გადაცემის მექანიზმი უზრუნველყოფს, რომ სახელმწიფო ლიდერზე დიდხანს იცოცხლებს, ხოლო დემოკრატია სწორედ ამგვარი და ფართოდ გავრცელებული მექანიზმია. ყოველი არჩევნების აზრი ისაა, რომ ის მომდევნო არჩევნებს გვპირდება. ვინაიდან ყველა მოქალაქეს შეუძლია დაუშვას შეცდომა, დემოკრატია დაშვებული შეცდომების ერთობლიობას გარდაქმნის მომავლის საერთო რწმენად. ამის შემდეგ ისტორიაც გრძელდება.

საბჭოთა კავშირს, რომელმაც ილინი გააძევა, ხოლო პუტინი აღზარდა, დროსთან რთული ურთიერთობა ჰქონდა. სსრკ-მ, რომელსაც ძალაუფლების გადაცემის მექანიზმი არ გააჩნდა, მხოლოდ 69 წელი იარსება. ბოლშევიკებს არ აინტერესებთ მემკვიდრეობა, რადგან თვლიდნენ, რომ ისინი იწყებდნენ მსოფლიო რევოლუციას და არა სახელმწიფოს შენებას. 1917 წლის რუსეთის რევოლუცია მათ ელვად ეჩვენებოდათ, რომელიც ცივილიზაციას ანთებს და ისტორიას თავიდან იწყებს. როცა ეს წინასწარმეტყველება არ ახდა, ბოლშევიკებს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ ჩართულიყვნენ სახელმწიფოს მშენებლობაში მათ მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე.

1922 წელს შექმნილ საბჭოთა კავშირში ძალაუფლება კომუნისტურ პარტიას ეკუთვნოდა. მისი ლეგიტიმაციის წყარო იყო არა ხელისუფლების მონაცვლეობა ან კავშირი წარსულთან, არამედ რევოლუციის გამარჯვება და ნათელი მომავლის დაპირება. თეორიულად, ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში იყო. პარტია ეფუძნებოდა მუშათა კლასს, პარტიას წარმოადგენდა ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალურ კომიტეტს – პოლიტბიურო, ხოლო პოლიტბიუროს ყველაზე ხშირად წარმოადგენდა ლიდერი: ლენინი, შემდეგ კი – სტალინი. მარქსიზმ-ლენინიზმი იყო „გარდაუვალობის პოლიტიკის“ ერთ-ერთი ვერსია: მოვლენების თანმიმდევრობა წინასწარ არის ცნობილი; კაპიტალიზმს სოციალიზმი ცვლის; პარტიის ლიდერებმა დეტალურად იციან, რა და როგორ უნდა იყოს და გეგმებს ამზადებენ. თავდაპირველად, ბოლშევიკებმა დაიწყეს სახელმწიფოს მშენებლობა, რათა ისტორია წაეხალისებინათ და ქვეყანაში წარმოება განევითარებინათ, რომელსაც, ჩვეულებრივ, კაპიტალიზმი აჩენს. როცა საბჭოთა კავშირს ექნება ქარხნები და

ქალაქები, კერძო საკუთრების გაუქმება შეიძლება, დადგება სოციალისტური ჰარმონია და სახელმწიფოც გაქრება.

მიუხედავად იმისა, რომ სსრკ-მ და მისმა გეგმურმა ეკონომიკამ შექმნა თანამედროვე ინფრასტრუქტურა, პროლეტარიატმა ვერასდროს მოიპოვა ძალაუფლება და არც სახელმწიფო გაქრა. ვინაიდან არ არსებობდა ძალაუფლების გადაცემის მექანიზმი, საბჭოთა კავშირის თითოეული ლიდერის სიკვდილი მთელ სისტემას უქმნიდა საფრთხეს. ლენინის გარდაცვალების შემდეგ (1924) სტალინს დაახლოებით ექვსი წელი დასჭირდა თავისი მეტოქეების ჩამოსაშორებლად. ზოგიერთი მათგანი მოკლეს. სტალინი აკონტროლებდა მასობრივ მოდერნიზაციას პირველი ხუთწლიანი გეგმის მიხედვით (1928–1933). ახალი ქალაქებისა და ქარხნების ფული გადაიხადეს მილიონობით ადამიანის შიმშილითა და ასევე, მილიონების საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნით. სტალინი დიდი ტერორის მთავარი ავტორი იყო. 1937–1938 წლებში დახვრიტეს 682 691 საბჭოთა მოქალაქე. ტერორი – მასობრივი მკვლელობები და დეპორტაციები უფრო მცირე მასშტაბით 1939-1941 წლებშიც განმეორდა, როდესაც ნაცისტური გერმანიის მოკავშირე საბჭოთა კავშირმა საზღვარი დასავლეთისკენ გადასწია. ეს მეორე კამპანიას 21,892 პოლონეთის მოქალაქის მკვლელობა მოჰყვა კატინისა და სხვაგან 1940 წელს.

1941 წელს სტალინისთვის მოულოდნელი იყო მისი მოკავშირის, ჰიტლერის ღალატი. 1945 წელს, წითელი არმიის გამარჯვების შემდეგ, სტალინმა თავი სოციალისტური პროექტისა და რუსი ხალხის მხსნელად გამოაცხადა. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ საბჭოთა კავშირმა მოახერხა დასავლეთის საზღვრის გასწვრივ კოლონიების სარტყლის შექმნა სატელიტი რეჟიმებით: პოლონეთი, რუმინეთი, უნგრეთი, ჩეხოსლოვაკია, ბულგარეთი. საბჭოთა კავშირში ასევე შედიოდა ესტონეთი, ლატვია და ლიტვა, რომლებიც სტალინმა ჰიტლერთან ალიანსის წყალობით დაიკავა.

1953 წელს, სტალინის გარდაცვალების შემდეგ, ძალაუფლების მოსურნე მხოლოდ ერთი კანდიდატის მოკვლა მოუწიათ. 1950-იანი წლების ბოლოს ნიკიტა ხრუშჩოვმა მოახერხა ძალაუფლების ხელში ჩაგდება. 1964 წელს ის ლეონიდ ბრეჟნევმა ჩაანაცვლა და სწორედ ბრეჟნევი აღმოჩნდა სტალინის ყველაზე მნიშვნელოვანი მემკვიდრე, რომელმაც დროის მიმართ დამოკიდებულება შეცვალა: მარქსისტული „გარდაუვალობის პოლიტიკა“ საბჭოთა „მარადიულობის პოლიტიკით“ ჩაანაცვლა.

ბოლშევიკური რევოლუცია ორიენტირებული იყო ახალგაზრდებზე, ახალი საზოგადოება კაპიტალიზმის ნანგრევებზე უნდა აეშენებინათ. ეს ნიშნავდა სისხლიან რეპრესიებს ქვეყანაში და განსაკუთრებით, მის ფარგლებს

გარეთ, რამაც საშუალება მისცა ახალგაზრდებს – ქალებსა და მამაკაცებს, მაღლა ასულიყვნენ პარტიულ კიბეზე. როდესაც 1960-იან წლებში ეს ყველაფერი შეჩერდა, საბჭოთა ლიდერებმა სახელმწიფოსთან ერთად დაიწყეს დაბერება. 1970-იან წლებში ბრეჟნევი საუბრობდა არა კომუნიზმის მომავალ გამარჯვებებზე, არამედ „ნამდვილ (განვითარებულ) სოციალიზმზე“. მას შემდეგ, რაც საბჭოთა მოქალაქეებს გაუქრათ უკეთესი მომავლის იმედი, უტოპიის მიერ შექმნილი ვაკუუმი ნოსტალგიამ შეავსო. ბრეჟნევმა დიდებული მომავლის პერსპექტივა ჩაანაცვლა სტალინისა და მისი როლის განდიდებით მეორე მსოფლიო ომში. რევოლუციის ისტორია მომავალზე ლაპარაკობდა, ომის ისტორია კი – მარადიულ წარსულზე. ვინაიდან ასეთი წარსული არანაირად არ უნდა შებღალულიყო, ტაბუ დაადეს და აკრძალეს იმის ხსენება, რომ ომის დასაწყისში სტალინი ჰიტლერის მოკავშირე იყო. „გარდაუვალობის პოლიტიკის“ „მარადიულობის პოლიტიკით“ ჩანაცვლებას ისტორიული ფაქტების გაყალბება დასჭირდა.

მითი ოქტომბრის რევოლუციის შესახებ ადამიანებს ბევრს ჰპირდებოდა, მითი დიდი სამამულო ომის შესახებ – არაფერს. ოქტომბრის რევოლუციის მითში უკლებლივ ყველანი და-ძმები იყვნენ. დიდი სამამულო ომის უსასრულობა დასავლეთიდან ფაშისტების მარადიულ დაბრუნებას მოითხოვდა, რომლებსაც სსრკ-ის (ან უბრალოდ რუსი ხალხის) განადგურება მუდმივად სურდათ. უსაზღვრო იმედი ჩაანაცვლა მარადიულმა შიშმა (რითაც ბირთვული და სხვა საბრძოლო იარაღის დასამზადებლად გაწეულ გიგანტური ხარჯებს ამართლებდნენ). გრანდიოზული სამხედრო აღლუმები წითელ მოედანზე გამიზნული იყო იმის საჩვენებლად, რომ საბჭოთა კავშირი არ იცვლებოდა. ისინი კი, ვინც რუსეთს მართავდნენ 2010-იან წლებში, ამ სულისკვეთებით გაიზარდნენ.

საბჭოთა არმიის ძალების განლაგება იმავე მიზანს ემსახურებოდა: ევროპაში სტატუს კვოს შენარჩუნებას. 1960-იან წლებში რამდენიმე ჩეხოსლოვაკიელმა კომუნისტმა გადაწყვიტა კომუნიზმის რეფორმირება. როცა საბჭოთა კავშირმა და ვარშავის პაქტის მოკავშირეებმა 1968 წელს დაიკავეს ჩეხოსლოვაკია და მოიშორეს კომუნისტი რეფორმატორები, ბრეჟნევმა თქვა, რომ ეს „ძმური დახმარება“ იყო. „ბრეჟნევის დოქტრინის“ მიხედვით, საბჭოთა ჯარები არ დაუშვებდნენ ევროპის კომუნისტურ ქვეყნებში რაიმე ცვლილებას იმ შემთხვევაში, თუკი მოსკოვი მათ საფრთხედ მიიჩნევდა. 1968 წლის შემდეგ ჩეხოსლოვაკიის მთავრობა „ნორმალიზაციაზე“ ლაპარაკობდა და ეს სიტყვა ზუსტად გამოხატავდა მომხდარის არსს. რეფორმის მცდელობამდე მდგომარეობა *ნორმალური* იყო. საპირისპიროს

მტკიცება ბრეჟნევის საბჭოთა კავშირში იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობას მოასწავებდა.

ბრეჟნევი 1982 წელს გარდაიცვალა. ორი ცოცხალ-მკვდარი ლიდერის მმართველობის ხანმოკლე პერიოდის შემდეგ (იური ანდროპოვი და კონსტანტინ ჩერნენკო), 1985 წელს ხელისუფლებაში მიხეილ გორბაჩოვი მოვიდა. ის თვლიდა, რომ კომუნიზმის რეფორმირებით შესაძლებელი იყო უკეთესი მომავალი დამდგარიყო. მის მთავარ ოპონენტად თავად პარტია იქცა, კერძოდ, სტატუს კვოს მიჩვეული კონსერვატორული ფრთა. გორბაჩოვი პარტიაზე კონტროლის მოპოვებას ახალი ინსტიტუტების შენებით ცდილობდა და იმავეს მოუწოდებდა აღმოსავლეთ ევროპის საბჭოთა კავშირის სატელიტი ქვეყნების კომუნისტ ლიდერებს. პოლონელმა კომუნისტებმა, რომლებიც ერთი მხრივ – ეკონომიკური კრიზისისა და მეორე მხრივ – ძლიერი პოლიტიკური ოპოზიციის წინაშე აღმოჩნდნენ, 1989 წელს ნაწილობრივ თავისუფალი არჩევნები ჩაატარეს და დამარცხდნენ. ასე შეიქმნა პოლონეთის მთავრობა კომუნისტების მონაწილეობის გარეშე, რასაც იმავე პროცესების კასკადი მოჰყვა მთელ აღმოსავლეთ ევროპაში.

ასეთივე საფრთხის წინაშე აღმოჩნდა გორბაჩოვი. 1922 წელს შექმნილი საბჭოთა სახელმწიფო, ფორმალურად ეროვნული რესპუბლიკების ფედერაცია იყო: რუსეთი, უკრაინა, ბელორუსია და ა.შ. საბჭოთა კავშირის რეფორმა, ისე, როგორც გორბაჩოვს სურდა, ფედერალური პრინციპების დანერგვას ნიშნავდა. საკავშირო რესპუბლიკებში ჩატარდა დემოკრატიული არჩევნები, რათა ჩამოყალიბებულიყო ახალი ელიტები, რომლებსაც შეეძლოთ ეკონომიკის რეფორმირება. ამრიგად, 1990 წლის მარტში რუსეთში გამოჩნდა ახალი წარმომადგენლობითი ორგანო – სახალხო დეპუტატების ყრილობა, რომელმაც უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ აირჩია ბორის ელცინი. ელცინიც იზიარებდა ახალი დემოკრატი ლიდერების მოსაზრებას, რომ საბჭოთა კავშირი ზიანს აყენებდა რუსეთს. თითოეული საკავშირო რესპუბლიკის მოსახლეობა კი ფიქრობდა, რომ სისტემა სწორედ მათ ჩაგრავდა ყველა დანარჩენზე მეტად.

კრიზისი 1991 წლის ზაფხულში დადგა. გორბაჩოვს ლეგიტიმაცია პარტიამ მისცა, ის კი ცდილობდა პარტია სახელმწიფოთი ჩაენაცვლებინა. ამისათვის მას უნდა მოეძებნა ფორმულა, რომელიც აღიარებდა რესპუბლიკების სტატუსს და შექმნიდა ფუნქციურ ცენტრს ნაციონალისტური უკმაყოფილების, პოლიტიკური არეულობისა და ეკონომიკური სიდუხჭირის ვითარებაში. მან გამოსავალი იპოვა: ახალი საკავშირო ხელშეკრულება, რომლის ხელმოწერა აგვისტოში იყო დაგეგმილი. 18 აგვისტოს საბჭოთა

კონსერვატორთა ჯგუფმა დააპატიმრა გორბაჩოვი, რომელიც თავის აგარაკზე ისვენებდა. პუტჩისტებმა გასცეს ბრძანება, რომ ტელევიზიით ბალეტი ეჩვენებინათ, მაგრამ კარგად არ ესმოდათ, სხვა რა უნდა გაეკეთებინათ. საბოლოოდ, გამარჯვება ბორის ელცინს დარჩა. ის დაუპირისპირდა შეთქმულებს, ტანკზე ავიდა, სიტყვით გამოვიდა და ეროვნულ გმირად იქცა. როდესაც გორბაჩოვმა მოსკოვში დაბრუნება მოახერხა, მოვლენებს იქ უკვე ელცინი ხელმძღვანელობდა.

როცა ელცინი ქვეყნის ყველაზე მნიშვნელოვანი პოლიტიკოსად იქცა, საბჭოთა კავშირის დღეები დათვლილი იყო. დასავლეთის ლიდერებს არასტაბილურობა აშინებდათ და ცდილობდნენ საბჭოთა კავშირი ხელუხლებლად შეენარჩუნებინათ. 1991 წლის აგვისტოში პრეზიდენტი ჯორჯ ბუში გაემგზავრა კიევში და მოუწოდა უკრაინელებს არ დაეტოვებინათ საბჭოთა კავშირი: „თავისუფლება იგივე არ არის, რაც დამოუკიდებლობა“; ოქტომბერში მან გორბაჩოვს უთხრა: „იმედი მაქვს, თქვენ იცით ჩვენი მთავრობის პოზიცია: ჩვენ მხარს ვუჭერთ ცენტრს“. 1991 წლის დეკემბერში ელცინმა ხელი მოაწერა შეთანხმებას საბჭოთა უკრაინისა და საბჭოთა ბელორუსიის ახლადარჩეულ ლიდერებთან და რუსეთი გავიდა საბჭოთა კავშირიდან. რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც ცნობილია, როგორც რუსეთის ფედერაცია. საბჭოთა კავშირის ყველა სხვა ყოფილმა რესპუბლიკამაც მას მიბაძა.

რუსეთის ფედერაცია დაარსდა, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა, კონსტიტუციით და პრეზიდენტისა და პარლამენტის თავისუფალი არჩევნებით. ფორმალურად რუსეთს ხელისუფლების გადაცემის პრინციპიც ჰქონდა.

ივან ილინი საბჭოთა კავშირის რუსეთად გადაქცევას სულ სხვაგვარად ხედავდა: ფაშისტური დიქტატურა, მოსკოვის კონტროლი საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე და მუდმივი ომი გარყვნილ დასავლეთთან. რუსებმა ილინის კითხვა 1990-იან წლებში დაიწყეს. მის იდეებს არავითარი როლი არ უთამაშია საბჭოთა კავშირის დაშლაში, მაგრამ 2000-2010 წლებში სწორედ ეს იდეები დაეხმარა ოლიგარქებს, აეშენებინათ ახალი ტიპის ავტორიტარიზმი.

ვერც ერთი ადამიანი არ შეუძლებს იმას, რაც, ილინის აზრით, რუსეთის მხსნელს უნდა გაეკეთებინა: უნდა გამოჩენილიყო გამოგონილი სამყაროდან

და ერთიანობის კანონის საფუძველზე უნდა ემოქმედა. ამ სასწაულისთვის დეკორაციების მომზადება დახელოვნებულმა პროპაგანდისტებმა (მშვენიერი რუსული გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „პოლიტტექნოლოგებმა“) აიღეს საკუთარ თავზე. მხსნელის შესახებ მითი ისეთ უზარმაზარ ტყუილს უნდა დაფუძნებოდა, რომ, უბრალოდ, შეუძლებელი გამხდარიყო ყოყმანი: იმდენად, რომ მასში ეჭვის შეტანა, ზოგადად, ყველაფრის მიმართ უნდობლობას ნიშნავდა. საბჭოთა კავშირის დაშლიდან ათი წლის შემდეგ, ელცინისგან პუტინისთვის ძალაუფლების გადაცემა შესაძლებელი გახდა არა იმდენად არჩევნების, რამდენადაც მითის გამო. ილინი და პუტინი, ფილოსოფოსი და გამონაგონის პოლიტიკოსი, კარიერას ერთობლივად იკეთებდნენ.

რუსეთში არასოდეს ყოფილა დემოკრატია – აქ ძალაუფლება არასოდეს მოუპოვებია ადამიანს, რომელმაც თავისუფალ არჩევნებში გაიმარჯვა. როცა ელცინი გახდა რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტი 1991 წლის ივნისში, მაშინ არჩევნები რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკაში ჩატარდა. ამომრჩევლებს ხმა თავისუფალი რუსეთის ხელმძღვანელისთვის არ მიუციათ, რადგან „თავისუფალი რუსეთი“ არ არსებობდა. მას შემდეგ, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ელცინი პრეზიდენტად დარჩა. ბუნებრივია, რომ 1990-იანი წლების დასაწყისში ინსტიტუციურად ასეთი საეჭვო პრეტენზია ძალაუფლებაზე არც იყო გასაკვირი. როდესაც აღმოსავლეთ ევროპაში საბჭოთა იმპერია დაინგრა, შემდეგ კი თავად საბჭოთა კავშირიც, სხვადასხვა ფარულმა გარიგებამ, ღია მოლაპარაკებებმა და ნაწილობრივ, თავისუფალმა არჩევნებმა დასაბამი მისცა ჰიბრიდულ რეჟიმებს. დანარჩენ პოსტკომუნისტურ სახელმწიფოებში მალევე ჩატარდა თავისუფალი და სამართლიანი საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. რუსეთის ფედერაციამ კი თავიდან აიცილა არჩევნები, რომელსაც შეეძლო ლეგიტიმაცია მიეცა ელცინის ხელისუფლებისთვის და მოემზადებინა ნიადაგი მისი მემკვიდრისთვის. მოხდა ის, რაც ილინმა ვერ განჭვრიტა და რაც დიდად არ განსხვავდებოდა მისი დოქტრინისგან: რუსეთის მხსნელი ძალიან მდიდრებმა აირჩიეს.

„ოლიგარქებად“ წოდებულმა მდიდრებმა ელცინის გარემოცვიდან გადაწყვიტეს დემოკრატია პრეზიდენტისა და საკუთარი ინტერესების სამსახურში ჩაეყენებინათ. საბჭოთა გეგმური ეკონომიკის მარცხმა არნახული მოთხოვნა გააჩინა მომგებიან სამრეწველო საწარმოებსა და ბუნებრივ რესურსებზე. დაიწყო ფასიანი ქაღალდებით თაღლითობა. შედეგად გაჩნდა მდიდარი ფენა. ველური პრივატიზაცია სულაც არ ჰგავდა საბაზრო ეკონომიკას, ყოველ შემთხვევაში იმას, როგორც ჩვეულებრივ ეს სიტყვა ესმით. ბაზარს

სჭირდება კანონის უზენაესობა და სწორედ ეს იქცა პოსტსაბჭოთა საზოგადოების მთავარ თავსატეხად. ამერიკელები კანონის უზენაესობას მოცემულობად თვლიან და თავისუფლად შეუძლიათ წარმოიდგინონ, რომ ბაზარს შეუძლია შექმნას მისთვის საჭირო ინსტიტუტები. მაგრამ ეს ასე არ არის. მნიშვნელოვანია, ახლად დამოუკიდებლობა მიღებულ ქვეყნებში არის თუ არა კანონის უზენაესობა და, უპირველეს ყოვლისა, ხდება თუ არა ხელისუფლების ლეგიტიმურად გადაცემა თავისუფალი არჩევნების გზით.

1993 წელს ელცინმა დაითხოვა პარლამენტი და ჯარები გამოიყენა დეპუტატების წინააღმდეგ. მან ეს ნაბიჯი თავის დასავლელ პარტნიორებს წარუდგინა, როგორც აუცილებლობა საბაზრო რეფორმების დასაჩქარებლად. ამერიკულმა პრესამ მისი ვერსია მიიღო. თუ მიზეზი ბაზარია, „გარდაუვალობის“ პოლიტიკის მიმდევრებმა, შესაძლოა, პარლამენტში სროლა დემოკრატიზაციის ეტაპად აღიქვან. ელცინმა პარლამენტთან კონფლიქტი საპრეზიდენტო ძალაუფლების გაფართოების საბაბად გამოიყენა. 1996 წელს ელცინის გუნდმა გააყალბა (მისივე აღიარებით) არჩევნები, რამაც მას საშუალება მისცა, დარჩენილიყო პრეზიდენტი კიდევ ერთი ვადით.

1999 წლისთვის ელცინი აშკარად ცუდად იყო და ხშირად ჩნდებოდა მთვრალი. აქტუალური გახდა ხელისუფლების გადაცემის საკითხი. ელცინის ჩასანაცვლებლად არჩევნები გახდა საჭირო. ოლიგარქების აზრით, არჩევნების შედეგი კონტროლირებადი უნდა ყოფილიყო. კრემლს სჭირდებოდა მემკვიდრე, რომელიც გარანტიას მისცემდა ელცინების ოჯახს (როგორც ჩვეულებრივი, ისე კონკრეტულად, რუსული გაგებით), რომ სიცოცხლესა და სიმდიდრეს შეუნარჩუნებდა. „ოპერაცია მემკვიდრე“ (როგორც ამ ამოცანას კრემლში უწოდებდნენ) ორ ნაწილად დაიყო. უპირველესად, საჭირო იყო ახალი ადამიანის პოვნა, რომელიც არანაირად არ იყო დაკავშირებული ელცინთან და მეორე, პრობლემის გამოგონება, რომლის გადაჭრაც ამ ადამიანს შეეძლო.

მემკვიდრის მოსაძებნად ელცინის გარემოცვამ სოციოლოგიური გამოკითხვა ჩაატარა ხალხისთვის საყვარელი და პოპულარული გმირების შესახებ. გამარჯვებული მაქს ოტო ფონ შტირლიცი გამოვიდა: იულიან სემიონოვის რამდენიმე რომანის პერსონაჟი, რომლის მიხედვითაც ფილმები გადაიღეს, მათ შორის სატელევიზიო სერიალი "გაზაფხულის ჩვიდმეტი გაელვება" (1973). ვლადიმერ პუტინი, რომელიც გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში KGB-ში მუშაობის დროს მცირე თანამდებობას იკავებდა, გამოგონილ შტირლიცს ყველაზე მეტად ჰგავდა. პუტინს, რომელმაც ქონება 1990-იან წლებში პეტერბურგის მერის მოადგილედ მუშაობისას დააგროვა, კრემლში კარგად იცნობდნენ და თავისიანად მიიჩნევდნენ. 1998 წლიდან

მოსკოვში მუშაობდა; კერძოდ, FSB-ს დირექტორის პოსტი ეკავა. 1999 წლის აგვისტოში კი პრემიერ-მინისტრად დანიშნეს. ის არ ყოფილა ცნობილი და, შესაბამისად, არ შეეძლო სერიოზულად ებრძოლა ფედერალური არჩევნებისთვის. მისი რეიტინგი მხოლოდ 2% იყო. გაჩნდა მიზეზი კრიზისის შესაქმნელად.

1999 წლის სექტემბერში რუსეთის ქალაქებში რამდენიმე ბომბი აფეთქდა და ასობით ადამიანი დაიღუპა. როგორც ჩანს, დამნაშავეები FSB-ს თანამშრომლები იყვნენ. რიაზანში, FSB-ის ადგილობრივმა ოფიცრებმა მოსკოველი კოლეგები დააკავეს, როგორც აფეთქებებში ეჭვმიტანილები. თუმცა, პატრიოტიზმმა გაიმარჯვა და პუტინი კვლავ წავიდა საომრად ჩეჩნეთში, რუსეთის რეგიონში, რადგან ჩაითვალა, რომ აფეთქებები ჩეჩნებმა ჩაიდინეს. 1993 წელს ჩეჩნეთმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა და ფედერალურ არმიას ებრძოდა მანამ, სანამ ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება არ დაიდო. არ არსებობდა არანაირი მტკიცებულება, რომ ჩეჩნები აფეთქებებში მონაწილეობდნენ. ჩეჩნეთის მეორე ომის გამო პუტინის რეიტინგი ნოემბერში 45%-მდე გაიზარდა. 1999 წლის დეკემბერში ელცინმა გადადგომის შესახებ გამოაცხადა და მემკვიდრედ პუტინი დაასახელა. 2000 წლის მარტში, ტელეარხების ლოიალურობის, არჩევნების გაყალბების, ტერორისტების და ომის შიშის წყალობით, პუტინმა არჩევნებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მოიპოვა და პრეზიდენტი გახდა.

პოლიტიკური გამონაგონი სისხლით იწერება.

დაიწყო ახალი ტიპის პოლიტიკა, იმ დროს „მართულ დემოკრატიას“ რომ უწოდებდნენ, რომელიც რუსებმა სრულყოფილად აითვისეს და მოგვიანებით საზღვარგარეთაც გაიტანეს. პოლიტტექნოლოგიური ოპერაცია „მემკვიდრე“ წარმატებით ვლადისლავ სურკოვის წყალობით დასრულდა. წარმოშობით ნახევრად ჩეჩენი სურკოვი საზოგადოებასთან ურთიერთობის ბრწყინვალე სპეციალისტი და ელცინის საარჩევნო კამპანიის შტაბის უფროსის მოადგილე იყო. დემოკრატიის ფარსი, რომელიც მან წამოიწყო, სადაც იდუმალი კანდიდატი იყენებდა ხელოვნურად წარმოებულ კრიზისებს რეალური ძალაუფლების მოსაპოვებლად, წარმატებული აღმოჩნდა. მან ასევე განაგრძო მუშაობა და პუტინის მმართველობისას რამდენიმე თანამდებობა ეკავა.

2000 წლიდან 2008 წლამდე, პუტინის პირველი ორი საპრეზიდენტო ვადის დროს, სურკოვი იყენებდა კონტროლირებად კონფლიქტებს პოპულარობის გასაზრდელად ან სახელმწიფო ინსტიტუტების შესაცვლელად.

2002 წელს, მას შემდეგ, რაც რუსეთის ათობით მოქალაქე დაიღუპა ტერორისტების მიერ მიტაცებული თეატრალური ცენტრის შტურმის დროს, ტელევიზია მთლიანად სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ მოექცა. ხოლო მას შემდეგ, რაც ტერორისტებმა 2004 წელს ბესლანში სკოლა დაიკავეს, გუბერნატორის არჩევნები გაუქმდა. ამ ნაბიჯის გასამართლებლად სურკოვმა (ილინის მსგავსად) განაცხადა, რომ რუსებმა ჯერ არ იცოდნენ, როგორ უნდა მიეცათ ხმა. სურკოვის თქმით, რუსეთი „არ იყო მზად და ვერც იქნებოდა მზად ეცხოვრა თანამედროვე დემოკრატიის პირობებში“. მიუხედავად ამისა, სურკოვის აზრით, რუსეთის სუვერენიტეტი უფრო საიმედო იყო სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების მდგომარეობასთან შედარებით: ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ არარუს ხალხს არ შეეძლო ჰქონოდა „სახელმწიფო“.

სურკოვის მოსაზრებები რუსეთის უპირატესობაზე არ აკმაყოფილებდა იმ კრიტერიუმებს, რომლებსაც მაშინ რუსეთის ლიდერები ჯერ კიდევ მნიშვნელოვნად თვლიდნენ: უნდოდათ ევროპის მსგავსნი ყოფილიყვნენ, მოსწონდათ ევროპა, სურდათ ევროპასთან დაახლოება. 2004 წელს სამი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა – ლიტვა, ლატვია და ესტონეთი შეუერთდნენ ევროკავშირს, ასევე საბჭოთა ბლოკის ყოფილი წევრი აღმოსავლეთ ევროპის რამდენიმე ქვეყანაც. ევროკავშირში გასაწევრიანებლად ამ ქვეყნებს მოუწიათ თავიანთი სუვერენიტეტის დემონსტრირება ისე, როგორც რუსეთის არ შეეძლო: კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის მშენებლობით და სახელმწიფო აპარატის შექმნით, რომლებიც შეესაბამებოდა ევროკავშირის კანონმდებლობას და დემოკრატიას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებით.

ევროკავშირში გაწევრიანებულ სახელმწიფოებს ძალაუფლების გადაცემის ქმედითი მექანიზმი ჰქონდათ. რუსეთში ასე არ ყოფილა. *„სუვერენულ დემოკრატიაზე“* საუბრისას სურკოვმა ნაკლი წარმოაჩინა, როგორც ღირსება და ამით „ამოიხსნა“ ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა: ნამდვილი დემოკრატიის გარეშე, ძალაუფლების გადაცემის მექანიზმის გარეშე მაინც, არ არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ რუსეთი გადარჩება, როგორც სუვერენული სახელმწიფო. სურკოვი ამტკიცებდა, რომ *„სუვერენული დემოკრატია“* არის დროებითი სახელმწიფო, რომელიც საშუალებას მისცემს რუსეთს, იპოვოს საკუთარი გზა ამა თუ იმ დასავლური პოლიტიკური მოდელისკენ. ამავდროულად, „სუვერენული დემოკრატიის“ ცნება ადვილად მიიღეს რადიკალმა ნაციონალისტებმა, მაგალითად, ფაშისტმა ალექსანდრე დუგინმა (მას ესმოდა „სუვერენული დემოკრატია“,

როგორც უცვლელი მდგომარეობა, როგორც „მარადიულობის პოლიტიკა“). ახლა, დუგინის აზრით, ნებისმიერ მცდელობას, რომ რუსეთი გამხდარიყო „დემოკრატია ზედსართავების გარეშე“ შესაძლოა, ქვეყნის სუვერენიტეტისთვის შეექმნა საფრთხე.

დემოკრატია ძალაუფლების გადაცემის პროცესია, ხოლო დემოკრატია „ზედსართავი სახელით“ (კომუნისტების „სახალხო დემოკრატია“, მათ შემდეგ მოსულების „სუვერენული დემოკრატია“) საერთოდ აღარ არის დემოკრატია. თავიდან სურკოვი მონდომებით ცდილობდა, ეს ორი გაეერთიანებინა. ის ლაპარაკობდა დემოკრატიის შენარჩუნების შესაძლებლობაზე ძალაუფლების სწორ ადამიანზე გადაცემით: „ჩვენს პოლიტიკურ კულტურაში ინდივიდი არის ინსტიტუტი“. ილინმა იგივე ტექნიკა გამოიყენა: მან რუსეთის „მხსნელს“ უწოდა „დემოკრატიული დიქტატორი“, რომელიც სავარაუდოდ, ხალხის წარმომადგენელიცაა. სურკოვის აზრით, რუსული სახელმწიფოებრიობა „ცენტრალიზაციაზე, პერსონიფიკაციაზე და იდეალიზაციაზე“ დგას: სახელმწიფო პოლიტიკურად ერთგვაროვანი უნდა იყოს, ხოლო ძალაუფლება ხელში უნდა აიღოს ღირსეულმა ინდივიდმა. სურკოვი, ილინზე დაყრდნობით ამტკიცებდა, რომ რუს ხალხს უნდა ჰქონდეს ზუსტად იმდენი თავისუფლება, რამდენიც მისაღებადაც არის მზად. ხოლო ილინს „თავისუფლება“ ესმოდა, როგორც ინდივიდის თავისუფლება, გაერთიანდეს ბელადის მორჩილ კოლექტივში.

სურკოვის მანიპულაციები შესაძლებელი იყო 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში. 2000 წლიდან 2008 წლამდე (პუტინის პირველი ორი ვადა პრეზიდენტის პოსტზე) რუსეთის ეკონომიკის წლიური ზრდა საშუალოდ თითქმის 7%-ს შეადგენდა. ჩეჩნეთის ომი პუტინის გამარჯვებით დასრულდა. სახელმწიფომ ნავთობისა და ბუნებრივი აირის მაღალი მსოფლიო ფასებით ისარგებლა და ექსპორტიდან მიღებული შემოსავლის ნაწილი საზოგადოებასაც გადაუნაწილა. ელცინის მმართველობის არასტაბილურმა ხანამ ჩაიარა და ბევრი რუსი კმაყოფილიც იყო ცხოვრებით. რუსეთმა საერთაშორისო ასპარეზზე ძლიერი პოზიცია დაიკავა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ პუტინმა ნატოს დახმარება შესთავაზა. 2002 წელს ის პატივისცემით ლაპარაკობდა „ევროპული კულტურაზე“ და ერიდებოდა ნატოს მტრად წარმოჩენას. 2004 წელს პუტინი მხარს უჭერდა უკრაინის გაწევრიანების ევროკავშირში და რუსეთის ეკონომიკურ სარგებელზე აკეთებდა აქცენტს. ევროკავშირის გაფართოებაზე საუბრობდა, როგორც მშვიდობისა და კეთილდღეობის ზონის რუსეთის საზღვრებთან დაახლოების შესაძლებლობაზე. 2008 წელს პუტინი დაესწრო ნატოს სამიტს.

2004 წელს პუტინმა არჩევნებში ხმების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღო და პრეზიდენტის პოსტი კიდევ ოთხი წლით დაიკავა. რეგულარულმა არჩევნებმა (მიუხედავად იმისა, გააყალბეს თუ არა) დაარწმუნა რუსები, რომ საპრეზიდენტო მმართველობას ჰქონდა ვადა და, შესაბამისად, ქვეყნის მოქალაქეები მზად იყვნენ ახალი კანდიდატისთვის 2008 წელს: 2000 წელს ხომ გამოჩნდა პუტინი?! 2008 წელს პუტინს კონსტიტუციით აეკრძალა მესამე ვადით კენჭისყრა და მან თავისი მემკვიდრე აირჩია: მანამდე შეუმჩნეველი დიმიტრი მედვედევი. როდესაც მედვედევმა პრეზიდენტის პოსტი დაიკავა, პუტინი პრემიერ-მინისტრად დანიშნა. მედვედევის დროს შეიცვალა კონსტიტუცია და პრეზიდენტის ვადა ოთხიდან ექვს წლამდე გაიზარდა. პუტინმა 2012 და 2018 წლებში კენჭისყრა შეძლო. მას სწორედ ეს უნდოდა: „ერთიანმა რუსეთმა“ მოიგო 2011 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნები და ყველა შემდგომი არჩევნები; პუტინი პრეზიდენტი გახდა 2012 წლის მარტში და ასევე, 2018 წლის მარტშიც. არანაკლებ ოცი წელი ხელისუფლებაში პოლიტიკური „მარადიულობის“ დაწყებას მოასწავებს.

თუმცა, 2012 წელს პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნების ერთადერთი მექანიზმი მხოლოდ მოჩვენებითად დემოკრატიული არჩევნები იყო. პუტინმა ახლაც, როგორც ადრე, იცრუა, მაგრამ ამჯერად, როცა თაღლითობაში დაიჭირეს, ტყუილი აღიარა. ინდივიდი ინსტიტუტთან გააიგივეს, რაზეც სურკოვი წერდა, ხოლო არჩევნებს (ილინის მიხედვით) რიტუალური ხასიათი მიენიჭა. მას შემდეგ, რაც პუტინმა შეასუსტა ძალაუფლების გადაცემის მექანიზმი, მას მოუწია პირდაპირ ეთქვა, რომ რუსეთს ეს არ სჭირდებოდა. პოლიტიკური პერსპექტივის აღმოფხვრამ რუსეთის პოლიტიკური აწმყო მარადიულობად აქცია, რასაც მუდმივი კრიზისი და საფრთხე სჭირდებოდა საკვებად.

2011 წლის 4 დეკემბერს „ერთიან რუსეთს“ სახელმწიფო სათათბიროში ადგილების უმრავლესობა სჭირდებოდა. უჩვეულო ვითარება შეიქმნა: პრეზიდენტმა მედვედევმა და პრემიერ-მინისტრმა პუტინმა განაცხადეს, რომ აპირებდნენ ადგილების გაცვლას. როცა მათმა პარტიამ საპარლამენტო არჩევნები მოიგო, ხოლო პუტინი 2012 წლის მარტში პრეზიდენტი გახდა, მედვედევი მთავრობის მეთაურად დატოვეს.

პუტინის სამუდამო მმართველობის პერსპექტივა ბევრ რუსს არ მოეწონა. 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ ეკონომიკური ზრდა

შენელდა. რადგან პუტინმა და მედვედევმა არ შესთავაზეს რუსეთს ნედლეულის ექსპორტისგან თავის დაღწევის გეგმა და არც სოციალური მობილობის გაზრდას დაჰპირდნენ, მოქალაქეებმა ამ არჩევნებს შეხედეს, როგორც უკანასკნელ შანსს სტაგნაციის თავიდან ასაცილებლად და ხმაც შესაბამისად მისცეს.

დამოუკიდებელი დამკვირვებლების შეფასებით, 4 დეკემბერს „ერთიან რუსეთს“ ხმების 26%-ზე მეტი არ მიუღია. და მაინც, პარტიამ მანდატების უმრავლესობა მოიპოვა სახელმწიფო სათათბიროში. რუსი და საერთაშორისო დამკვირვებლები მიუთითებდნენ, რომ მედიაში საარჩევნო კამპანია არათანაბრად შუქდებოდა და ასევე, ბიულეტენების ელექტრონული და ხელით დათვლისას ადგილი ჰქონდა მანიპულაციებს (რეჟიმის მიერ „დამკვირვებლად“ მიწვეულმა ნიკ გრიფინმა, ბრიტანეთის ნაციონალური პარტიის ხელმძღვანელმა, რომელიც ასევე, უარყოფს ჰოლოკოსტს განაცხადა, რომ რუსეთის არჩევნები იყო „უფრო სამართლიანი, ვიდრე ინგლისის“). 5 დეკემბერს რუსეთში საპროტესტო აქციები დაიწყო. 10 დეკემბერს მოსკოვში 50 ათასი ადამიანი გამოვიდა ქუჩებში, 24 დეკემბერს კი _ 80 ათასი. ერთი თვის განმავლობაში რუსები 99 ქალაქში იკრიბებოდნენ. თანამედროვე რუსეთის ისტორიაში ყველაზე დიდი დემონსტრაციის მთავარი სლოგანი ასეთი იყო: „თავისუფალი არჩევნებისთვის“.

მანიპულაციებს ასევე ჰქონდა ადგილი 2012 წლის 4 მარტის საპრეზიდენტო არჩევნებზეც. პუტინს ხმების უმრავლესობა სჭირდებოდა პირველ ტურში გასამარჯვებლად. ამჯერად მანიპულაციები ძირითადად ელექტრონულ მონაცემთა ბაზებს შეეხო. ამომრჩევლების მიერ მიცემული ხმები განზავდა ათობით მილიონი „ბოტის“ ხმით და შედეგად, პუტინმა, უმრავლესობა მიიღო. ზოგიერთ უბანზე პუტინისთვის მიცემულმა ხმებმა მრგვალი რიცხვები შეადგინა. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებებმა მოსკოვის მითითებები სიტყვასიტყვით გაიგეს. ამრიგად, ჩეჩნეთში პუტინმა ხმების 99,8% მიიღო: ეს მაჩვენებელი მიუთითებს, თუ როგორ ტოტალურ კონტროლს ახორციელებს პუტინის მოკავშირე, რამზან კადიროვი რეგიონზე. მსგავსი შედეგები დაფიქსირდა ფსიქიატრიულ საავადმყოფოებსა და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად სხვა დაწესებულებებში. დამოუკიდებელმა რუსმა და საერთაშორისო დამკვირვებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს ეს გადაცდომები. ხოლო რეჟიმის ლოიალურმა ულტრამემარჯვენე „დამკვირვებლებმა“ არჩევნების შედეგები აღიარეს.

2012 წლის 5 მარტს მოსკოვში საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების

საწინააღმდეგო საპროტესტო აქციებში 25 ათასამდე ადამიანი მონაწილეობდა. პუტინისთვის 2011 წლის დეკემბრიდან 2012 წლის მარტამდე არჩევანის გაკეთების ხანა დადგა. მას შეეძლო შეესმინა საპარლამენტო არჩევნების კრიტიკა ან დათანხმებოდა საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს და მეორე ტურში გაემარჯვა (კენჭისყრის პირველ ტურში გამარჯვება მხოლოდ საამაყოდ სჭირდებოდა); ან გაეგო, რომ კანონის დარღვევა და ძალაუფლების უწყვეტობა ბევრს აწუხებდა. მაგრამ პუტინმა ეს ყველაფერი, როგორც ჩანს, პირად შეურაცხყოფად მიიღო.

პუტინმა კანონის დაცვას პირველ ტურში გამარჯვების დროებითი ილუზია ამჯობინა, თანამოქალაქეების აზრს კი – საკუთარი სიამაყე. მედვედევმა აღნიშნა, რომ, ზოგადად, რუსეთის ყველა არჩევნები „სტერილური არ იყო“. პუტინმა, უარყო პრინციპი „ერთი ადამიანი – ერთი ხმა“, თუმცა, დაჟინებით ამტკიცებდა, რომ არჩევნები ისევ ჩატარდებოდა. მან ასევე უგულებელყო თანამოქალაქეების არჩევანი და ამავდროულად, სამომავლოდ რიტუალური მხარდაჭერაც მოითხოვა. ამრიგად, მან გაიზიარა ილინის დამოკიდებულება დემოკრატიის მიმართ და უარი თქვა „ბრმა რწმენაზე მიღებული ხმების რაოდენობისა და პოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ“ (ილინი). თანაც, ღიად აღიარა ეს: იმარჯვებს ის, ვინც იტყუება.

2000 წელს ლეგენდარულმა გმირმა პუტინმა პრეზიდენტის თანამდებობა დაიკავა. 2012 წელს კი დაბრუნდა, როგორც კანონის უზენაესობაზე შურისმაძიებელი. პუტინის გადაწყვეტილებამ, ღიად გაეყალბებინა არჩევნები, რუსეთის სახელმწიფოებრიობა გაურკვევლობაში დატოვა. 2012 წელს მისი გამარჯვება საპრეზიდენტო არჩევნებში ძალაუფლების გარდამავალი კრიზისის დასაწყისი იყო. ვინაიდან დღევანდელმა მმართველმა გააუქმა მომავალი, აწმყო სამუდამოდ უნდა გაგრძელებულიყო.

1999 და 2000 წლებში კრემლი ჩეჩნებს მტრებად თვლიდა. ახლა კი დამშვიდებული ჩეჩნეთის ლიდერმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა პუტინის რეჟიმის სტრუქტურაში. 2011 და 2012 წლების არჩევნების გაყალბების შემდეგ შიდაპოლიტიკური არეულობა არ სრულდებოდა და საჭირო იყო ახალი, საიმედო მტერი. დასჭირდათ, გამოეცხადებინათ, რომ მომიტინგეები დაკავშირებულნი იყვნენ მტრულად განწყობილ გარე ძალებთან, რათა სწორედ ისინი (და არა პუტინი) აღქმულიყო რუსეთის სახელმწიფოებრიობის საფრთხედ. პროტესტი წარმოაჩინეს, როგორც პუტინის საშინაო პოლიტიკისგან განცალკევებული და სუვერენიტეტის ილუზორულ საფრთხესთან დაკავშირებული. „მარადიულობის პოლიტიკა“

მოითხოვს და წარმოქმნის პრობლემებს, რომლებიც გადაუჭრელია, უბრალოდ იმიტომ, რომ გამოგონილია. 2012 წლიდან ქვეყანაში გამოგონილ პრობლემად აქციეს ევროკავშირისა და შეერთებული შტატების სურვილი და გეგმები რუსეთის განადგურების შესახებ.

„გარყვნილი დასავლეთი“, ლეონიდ ბრეჟნევის საყვარელი ფრაზა, კვლავ დააბრუნეს მიმოქცევაში. მაგრამ ამჯერად „გარყვნილებამ“ მკაფიოდ სექსუალური კონოტაცია მიიღო. ილინი საკუთარ მოსაზრებებთან უთანხმოებას „გარყვნილებას“ უწოდებდა და ამაში ჰომოსექსუალობას გულისხმობდა. ერთი საუკუნის შემდეგ, კრემლის პირველი რეაქცია დემოკრატიული ოპოზიციის ქმედებებზე ზუსტად ასეთივე იყო. ისინი, ვინც 2011 და 2012 წლებში ხმების ხელახლა დათვლას მოითხოვდნენ, რუსეთის მოქალაქეები კი არ იყვნენ, რომლებსაც კანონის დაცვა, მათი სურვილების პატივისცემა და სახელმწიფოს მდგრადობა უნდოდათ, არამედ გლობალური სექსუალური დეკადანსის გონებაარეული აგენტები, რომელთა ქმედებები საფრთხეს უქმნიდა უმწიკვლო ეროვნულ ორგანიზმს.

2011 წლის 6 დეკემბერს, მოსკოვში გამართული პირველი მიტინგის მეორე დღეს, დმიტრი მედვედევმა, რომელიც პრეზიდენტის სავარძელს იკავებდა, გამოაქვეყნა პოსტი, სადაც სიტყვასიტყვით ამბობდა, რომ მომიტინგეების ლიდერი იყო „სულელი მწოველი ცხვარი“. პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა, რომელიც კვლავ პრეზიდენტობისთვის ემზადებოდა, რუსული ტელევიზიით გამოსვლისას თქვა, რომ მომიტინგეების თეთრი ლენტები პრეზერვატივებად აღიქვა და აქციის მონაწილეებს „ბანდერლოგები“ უწოდა. გერმანიაში ვიზიტის დროს მან გაკვირვებულ ანგელა მერკელს აუხსნა, რომ მთელი რუსული ოპოზიცია გარყვნილია. საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ მთავრობა ჰომოსექსუალობას უნდა დაჰპირისპირებოდა, რათა რუსული საზოგადოების უმწიკვლოება დაეცვა.

პუტინის რწმუნებულმა, ვლადიმერ იაკუნინმა, ცხვრის მეტაფორა მთელ გეოპოლიტიკურ თეორიად აქცია. იაკუნინმა 2012 წლის ნოემბერში გამოქვეყნებულ ვრცელი სტატიაში განაცხადა, რომ რუსეთს ზიანს აყენებენ შეთქმულები, რომლებიც ოდითგანვე აკონტროლებდნენ ისტორიის მსვლელობას. ეს გლობალური ჯგუფი ავრცელებდა ჰომოსექსუალობის პროპაგანდას, რათა შეამცირებინა რუსეთში შობადობა და შენარჩუნებულიყო დასავლეთის ძლევამოსილება. ის თვლიდა, რომ გეების უფლებების აღიარება

იყო პოლიტიკა, რომელიც მიზნად ისახავდა რუსების გადაქცევას „ნახირად“, რომელიც შემდგომ უპირობოდ დაემორჩილებოდა გლობალური კაპიტალიზმის ლიდერებს.

2013 წლის სექტემბერში რუსმა დიპლომატმა ეს არგუმენტი ჩინეთში ადამიანის უფლებათა კონფერენციაზე გაიმეორა. გეების უფლებები სხვა არაფერია, თუ არა ნეოლიბერალური გლობალისტი შეთქმულების საყვარელი იარაღი, რომლის საშუალებითაც კეთილშობილი ტრადიციული საზოგადოებების, რუსეთისა და ჩინეთის ექსპლუატაცია მზადდება. რამდენიმე დღის შემდეგ, საკუთარ სამიტზე, ვალდაის კლუბის შეხვედრაზე, პუტინმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა ამ მიმართულებით. მან ერთი სქესის ადამიანების პარტნიორობა სატანიზმს შეადარა – გეების უფლებები დააკავშირა დასავლურ მოდელთან, რომელიც „პირდაპირ უხსნის გზას დეგრადაციასა და პრიმიტივიზმს, რაც ღრმა დემოგრაფიულ და მორალურ კრიზისს იწვევს“. რუსეთის სახელმწიფო დუმამ იმ დროისთვის მიიღო კანონი „ბავშვების დაცვის შესახებ ინფორმაციისგან, რომელიც ხელს უწყობს ტრადიციული ოჯახური ღირებულებების ნგრევას“.

კამპანია არ ეფუძნებოდა რუსული ელიტის ჰეტეროსექსუალობის დემონსტრირებას. წინა ოთხი წლის განმავლობაში, როდესაც პუტინი პრემიერ-მინისტრი იყო, სურკოვმა მას შესთავაზა, ბეწვეულით შემოსილს გადაეღო რამდენიმე ფოტო. ასევე არადამაჯერებელი იყო პუტინისა და მედვედევის მცდელობა, წარმოეჩინათ თავი მეგობრებად, რომლებიც ბადმინტონის თამაშის შემდეგ თეთრებში პოზირებდნენ. პუტინი ცოლს სწორედ მაშინ დაშორდა, როცა მისი ანტიგეი კამპანია დაიწყო, რითაც ოჯახური ღირებულებების მთავარი დამცველი ტრადიციული ოჯახის გარეშე დარჩა. გენდერული იდენტობის საკითხებს რუსეთის პრეზიდენტი ისევ და ისევ უბრუნდებოდა. 2016 წელს პუტინმა განაცხადა, რომ ის არ იყო ქალი, რომელსაც ცუდი დღეები აქვს. 2017 წელს მან თქვა, რომ დონალდ ტრამპის არც საცოლე იყო და არც საქმრო. იმ წელს სისხლის სამართლის დანაშაულად იქცა პუტინის გეი კლოუნად წარმოჩენა. მზრუნველმა მეცნიერმა ქალმა კი განაცხადა, რომ „პუტინის კოცნა განკუთვნილია მხოლოდ ბავშვებისა და ცხოველებისთვის“.

პუტინი დემოკრატიის წინააღმდეგ არგუმენტად მამაკაცურობას იყენებდა. გერმანელი სოციოლოგი მაქს ვებერი ამტკიცებდა, რომ ქარიზმით, შესაძლოა, დაიწყოს პოლიტიკური სისტემა, მაგრამ ის ვერ უზრუნველყოფს მის უწყვეტობას. ვებერი შენიშნავდა, რომ ნორმალურია ქარიზმატული ლიდერის გარშემო პოლიტიკური და კომერციული კლანის ჩამოყალიბება.

მაგრამ თუ ამ კაცს სურს გასცდეს ნადავლის გადანაწილებას და შემდეგი რეიდის დაგეგმვას, მან უნდა მოძებნოს გზა, რათა გადასცეს თავისი უფლებამოსილება სხვას, იდეალურ შემთხვევაში, ისეთი საშუალებით, რომელიც შესაძლებელს გახდის ძალაუფლების ხელახლა გადაცემას. მემკვიდრეობის ამ პრობლემის მოგვარება თანამედროვე სახელმწიფოს ჩამოყალიბების წინაპირობაა.

ვებერმა აღწერა ორი მექანიზმი, რომელიც შესაძლებელს ხდის ქარიზმის მატარებელი ინდივიდის გავლენის სტაბილურ ინსტიტუტებად გარდაქმნას: 1) ტრადიციული „ზნეობისთვის“ დამორჩილების გზა (მონარქიაში, მმართველის უფროსი ვაჟი მემკვიდრეობით იღებს მამის ძალაუფლებას); 2) კანონების აღსრულება (დემოკრატიული სისტემის პირობებში, რეგულარული არჩევნები საშუალებას იძლევა შეიცვალოს სახელმწიფოს მეთაური და პარლამენტის წევრები). როგორც ჩანს, პუტინი არ აპირებს ძალაუფლების მონარქიული გზით გადაცემას, არ აძლევს თავის ქალიშვილებს საჯარო პოლიტიკაში მონაწილეობის უფლებას, თუმცა, მისი ოჯახი კლანური კაპიტალიზმის სიკეთეებით სარგებლობს. შესაბამისად, რჩება კანონი და სამართლიანობა, რაც თანამედროვე მსოფლიოში ხშირად დემოკრატიას ნიშნავს. მაგრამ პუტინმა უარყო ეს ვარიანტიც. ასე რომ, მის მიერ მამაკაცურობის დემონსტრირებამ გააჩინა ძალაუფლების ილუზია რუსეთის მთლიანობის საზიანოდ.

ამ ტიპის მამაკაცი, კატასტროფის შემთხვევაში, მიდრეკილია ყველაფერი ქალს დააბრალოს. ვლადიმირ პუტინისთვის ასეთ ქალად ჰილარი კლინტონი იქცა.

კრემლის პირველი დარტყმა დემოკრატიული ოპოზიციის „გლობალურ სოდომთან“ შედარება იყო. მაშინ კრემლმა განაცხადა, რომ აქციის მონაწილეები მოისყიდა უცხო სახელმწიფომ, რომლის საგარეო პოლიტიკის დეპარტამენტს ქალი ხელმძღვანელობს, ანუ შეერთებულმა შტატებმა. 2011 წლის 8 დეკემბერს, საპროტესტო აქციების დაწყებიდან სამი დღის შემდეგ, პუტინმა თქვა, რომ დემონსტრანტებს „პირველი სიგნალი“ ჰილარი კლინტონმა მისცა. 15 დეკემბერს კი განაცხადა, რომ აქციის მონაწილეებს ფული გადაუხადეს. მტკიცებულებები არ წარმოუდგენია, მაგრამ ეს არც გამხდარა საჭირო: ილინი ამტკიცებდა, რომ არჩევნები უცხოელების ჩარევას გულისხმობდა, ხოლო პუტინის მოვალეობა იყო ამ ყველაფერზე ხმამაღლა ლაპარაკი და გამოყენება შიდა პოლიტიკის შესაცვლელად. საჭირო იყო მტრის

პოვნა, რომელიც ყველაზე კარგად უპასუხებდა ლიდერის საჭიროებებს და არა რეალურ საფრთხეებზე ლაპარაკი, რადგან რეალურ მტრებზე საუბარი სისუსტის დემონსტრირებას ნიშნავს და დიქტატორების საკუთარ არასრულფასოვნებაზე მიანიშნებს. როცა ილინი წერდა, რომ პოლიტიკის ხელოვნება შედგება „მტრის ამოცნობისა და განეიტრალებისგან“, იმის გარკვევას კი არ გულისხმობდა, თუ რომელი უცხო ძალაა საშიში, არამედ იმას, თუ ვის აირჩევდა ლიდერი: რომელი კონკრეტული მტერი გააძლიერებდა მის ძალაუფლებას? რუსეთს გეოპოლიტიკურ პრობლემებს ჩინეთი უქმნის. თუმცა, სწორედ იმიტომ, რომ ჩინეთი ძლიერია და ახლოსაა, რუსეთში რეალური პრობლემის შესახებ მსჯელობამ, შესაძლოა, დამთრგუნველი ვითარება შექმნას.

მტრის როლი დასავლეთს სწორედ იმიტომ არგუნეს, რომ ის რუსეთს არ ემუქრება. ჩინეთისგან განსხვავებით, ევროკავშირს არც ჯარი ჰყავს და არც დიდი საზღვარი აქვს რუსეთთან. შეერთებულ შტატებს ჰყავს არმია, მაგრამ ამერიკელებმა თავისი ჯარის უმეტესი ნაწილი ევროპიდან გაიყვანეს (1991 წელს – დაახლოებით 300 ათასი ჯარისკაცი, 2012 წელს – დაახლოებით 60 ათასი). ნატო ჯერ კიდევ არსებობს და მას აღმოსავლეთ ევროპის ზოგიერთი ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოც შეუერთდა. მაგრამ პრეზიდენტმა ობამამ 2009 წელს უარი თქვა აღმოსავლეთ ევროპაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის აშენების გეგმებზე, ხოლო რუსეთმა 2010 წელს ამერიკელებს ნება დართო, გამოეყენებინათ მისი საჰაერო სივრცე ავღანეთში ჯარების გადასაყვანად. 2011-2012 წლებში არც ერთ რუს პოლიტიკოსს არ ეშინოდა ნატოს აგრესიისა. 2012 წელს ამერიკელი პოლიტიკოსები თვლიდნენ, რომ ისინი რუსეთთან ურთიერთობებს „გადატვირთავდნენ“. როცა 2012 წლის მარტში მით რომნიმ რუსეთს ამერიკის „ნომერ პირველი გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე" უწოდა, მას დასცინოდნენ. ამერიკულ საზოგადოებაში და მედიაში თითქმის არავინ აქცევდა ყურადღებას იმას, რაც მოსკოვში ხდებოდა. ამერიკულ გამოკითხვებში გლობალური საფრთხეების შესახებ რუსეთი არც კი იყო ნახსენები.

ევროკავშირი და აშშ საფრთხედ იმის გამო იქცნენ, რომ რუსეთში არჩევნები გაყალბდა. 2011 წლის ზამთარში და 2012 წლის გაზაფხულზე, რუსული ტელეარხები და პრესა აცხადებდა, რომ ყველას, ვინც მომხდარს აპროტესტებდა, დასავლეთი ფულს იხდიდა. 2011 წლის 8 დეკემბერს მედიაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აქციის მონაწილეების უკან კლინტონი იდგა. „ნოვიე იზვესტიაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, სათაურით „პუტინი დასავლეთის ემისრების მკაცრ დასჯას გვთავაზობს“ ეწერა, რომ „რუსულმა

ოპოზიციურმა ძალებმა მასობრივი მოქმედებები დაიწყეს აშშ-ს სახელმწიფო მდივნის, ჰილარი კლინტონის „წაქეზების“ შემდეგ“. ოპოზიცია ქვეყანას ღალატობდა და ეს საკითხი განხილვას არ ექვემდებარებოდა, მოსაძებნი მხოლოდ შესაბამისი სასჯელი იყო. მარტში რუსულმა ტელევიზიამ უჩვენა „დოკუმენტური“, ფილმი, სადაც ამბობდნენ, რომ რუსეთის მოქალაქეებს, რომლებიც ქუჩაში გამოვიდნენ, საზიზღარი უცხოელები აფინანსებდნენ.

პუტინმა რუსული სახელმწიფო დაუცველი დატოვა და შესაბამისად, სჭირდებოდა ეთქვა, რომ ეს მისმა ოპონენტებმა გააკეთეს. ვინაიდან პუტინი თვლიდა, რომ „დაუშვებელია სახელმწიფოს განადგურება ცვლილებების წყურვილის სანაცვლოდ“, მან საკუთარ თავს მისცა უფლება, რუსეთისთვის საფრთხედ ჩაეთვალა ის, რაც თავად არ მოსწონდა.

2012 წელს უაზრობად იქცა ცუდი რუსეთის წარმოდგენა წარსულში და უკეთესისა – მომავალში, ანდა სახელმწიფოს რეფორმირება აწმყოში. აშშ-სა და ევროკავშირის მტრობა რუსეთის არსებობის წინაპირობად იქცა. პუტინმა სახელმწიფოებრიობა თავის ოლიგარქიულ კლანამდე დაავიწროვა და აწმყოთი შემოსაზღვრა. სამომავლოდ კრახის თავიდან აცილების ერთადერთი გზა დემოკრატიის მუდმივ და უშუალო საფრთხედ წარმოჩენა გახდა. პუტინს, რომელმაც მომავალი უფსკრულად აქცია, მოუწია განაპირას ეძებნა ბალანსი, ისე, როგორც ძიუდოშია.

2012 წელს ცხადად გამოჩნდა, რომ პუტინს დემოკრატიული პროცედურები ესმოდა, როგორც საკუთარი თავის რიტუალიზებული მხარდაჭერა. რუსეთის პარლამენტში ყოველწლიური გამოსვლისას მან თქვა, რომ ეს „კანონების, წესებისა და რეგულაციების დაცვასა და პატივისცემას“ ნიშნავდა. პუტინის აზრით, რუსებს არ ჰქონდათ უფლება, გაეპროტესტებინათ მთავრობის ანტიდემოკრატიული ქმედებები, რადგან დემოკრატია მათგან მოითხოვდა იმ კანონების დაცვას, რომლებიც ამგვარ პროტესტს კრძალავდა. პუტინმა გაითავისა ილინის მოსაზრებები, როგორც არჩევნების, ისე კანონების შესახებ. შესაბამისად, „თავისუფლება“ ლიდერის უსიტყვო მორჩილებას გაუთანაბრდა. მართლაც, 2012 წლის მაისში, პუტინის პრეზიდენტის თანამდებობაზე დაბრუნების შემდეგ, რუსული სახელმწიფო ილინის რეცეპტების მიხედვით შეიცვალა. ყველა მნიშვნელოვან მოვლენაში გამოჩნდა ილინის ტექსტების გავლენა სახელმწიფოებრივი მოწყობის შესახებ.

სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა მუხლი „ცილისწამების შესახებ“ (128.1). ხოლო კანონი „მორწმუნეთა რელიგიური გრძნობების შეურაცხყოფის შესახებ“ პოლიციას აკისრებდა პასუხისმგებლობას, ეკონტროლებინა საჯარო

სივრცეები. იესოს კარიკატურების გამოქვეყნება და ეკლესიაში Pokémon Go-ს თამაში აიკრძალა. FSB-ის უფლებამოსილებები გაფართოვდა, მისი ბიუჯეტი გაიზარდა და ოფიცრებს მიანიჭეს ფართო უფლებამოსილება, ესროლათ გაუფრთხილებლად. შინაგანი ჯარების ოპერატიულ განყოფილებას, GRU-ს, NKVD-ს, KGB-ს, და FSB დამფუძნებლის, ფელიქს ძერჟინსკის სახელი ეწოდა. ღალატის დეფინიცია შეიცვალა ისე, რომ აიკრძალა რუსეთის ფარგლებს გარეთ რაიმე ინფორმაციის გატანა, რამაც ელექტრონული ფოსტით სიმართლის თქმაც კი დიდ დანაშაულად აქცია. ბუნდოვნად განსაზღვრული „ექსტრემიზმი“ უკანონოდ გამოცხადდა. არასამთავრობო ორგანიზაციებს მუშაობა აეკრძალათ. ხელისუფლებამ ყველას, ვინც იღებდა უცხოურ დაფინანსებას, მოსთხოვა დარეგისტრირებულიყო, როგორც „უცხოური გავლენის აგენტი“ (ესაა ძალიან ფართო ცნებაა, რომელიც მოიცავს ნებისმიერ საერთაშორისო თანამშრომლობას, როგორიცაა მაგ. კონფერენციის გამართვა).

იმ დილასვე, როცა „უცხოელი აგენტების შესახებ“ კანონი ძალაში შევიდა, მოსკოვში არასამთავრობო ორგანიზაციის, „მემორიალის“ ოფისის კედელზე შემდეგი წარწერები გაჩნდა: „უცხოური აგენტი“ და „აშშ“. „მემორიალი“ მე-20 საუკუნის რუსეთის ისტორიის დოკუმენტების დიდი არქივია. საკუთარი ქვეყნის წარსული გარე საფრთხედ იქცა. „მემორიალის“ თანამშრომლები იკვლევენ საბჭოთა მოქალაქეების, მათ შორის რუსების ტანჯვას სტალინის დროს. მაგრამ თუ რუსეთის ყველა უბედურება გარედან მოდის, მაშინ აზრი არ აქვს ასეთ რაღაცებზე ფიქრს. „მარადიულობის პოლიტიკა“ ისტორიას აუქმებს.

„მარადიულობის პოლიტიკა“ წარსულს განიხილავს, როგორც უმწიკვლოების სიმბოლოების საგანძურს, საიდანაც მმართველები იღებენ მასალას საკუთარ სამშობლოში ჰარმონიის სადემონსტრაციოდ, ხოლო დანარჩენი სამყაროში – უთანხმოების საჩვენებლად. 2011 და 2012 წლების საპროტესტო გამოსვლებს პუტინმა მესამედ იმით უპასუხა, რომ ღიად აღიარა და დანერგა „მარადიულობის პოლიტიკის“ ილინისეული ვერსია: რუსეთი უმანკო ორგანიზმია, რომელსაც მხოლოდ გარე საფრთხეები ემუქრება.

2011 წლის 15 დეკემბერს (არჩევნების გაყალბების საწინააღმდეგო პროტესტის დაწყებიდან ათი დღის და სსრკ-ს დაშლიდან ზუსტად ორი ათწლეულის შემდეგ) პუტინმა აღწერა რუსეთი, სადაც ისტორიული კონფლიქტები ლიტერატურის კუთვნილებაა. რადიოსტუდიაში ფაშისტ მწერალ, ალექსანდრ პროხანოვთან ერთად, პუტინი ლაპარაკობდა ქვეყანაზე, რომელიც შეინარჩუნებდა იმ საბჭოთა მონუმენტებს, ტერორს რომ უკვდავყოფენ, განსაკუთრებით ჩეკა-სა და მისი დამფუძნებლის, ძერჟინსკის

ძეგლებს. პუტინის თქმით, თუკი ისტორიაში რაიმე არასწორი მოხდა, ეს იყო საბჭოთა კავშირის დაშლა. ისტორიულ მოვლენას, სადაც პუტინის მფარველმა ელცინმა მთავარი როლი ითამაშა და რამაც შესაძლებელი გახადა პუტინის აღზევება, უცნაურად ახლდა თან ეროვნული ტრაგედიები. რუსეთმა, პუტინის აზრით, უნდა გადახედოს „რევოლუციის“ კონცეფციას: ამიერიდან ის უნდა განიხილებოდეს როგორც მარადიული დაბრუნება ერთსა და იმავე ადგილას.

„შეგვიძლია თუ არა, ვთქვათ, – ჰკითხა პუტინმა მილიონობით რადიომსმენელს, – რომ ჩვენთან ყველაფერი კარგადაა? არა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა სრულად გამოჯანმრთელდა და განთავისუფლდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ჩვენთან მომხდარი დრამატული მოვლენებისგან, რომ ახლა გვაქვს ძლიერი, ჯანსაღი, ძლიერი სახელმწიფო? არა, ის, რა თქმა უნდა, ის ჯერ კიდევ ავადა, და აი, აქ უკვე ახსენა ივან ილინი: ჩვენი ქვეყანა, ჩვენი სამშობლო... გრძნობთ, ფესვებს? "სამშობლო" რაღაცას მშობლიურს ნიშნავს. ასევე ხშირად ვამბობთ: „დედასამშობლო“... დიახ, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ ავად არის, მაგრამ ავადმყოფი დედის საწოლს ვერ მოვშორდებით“. როგორც ჩანს, პუტინი კარგად იცნობს ილინის წიგნებს, მაგრამ ამ პასაჟის ინტერპრეტაცია მაინც უცნაურია: ილინი რუსეთის უბედურებად მიიჩნევდა არა სსრკ-ს დაშლას, არამედ მის ჩამოყალიბებას. ფილოსოფოსს სურდა სამშობლოში დარჩენა, მაგრამ ვერ შეძლო, რადგან გადაასახლეს. ილინმა დაკითხვის დროს გამომძიებელს უთხრა: ”საბჭოთა ძალაუფლება მიმაჩნია დიდი სოციალური და სულიერი დაავადების ისტორიულად გარდაუვალ გამოვლინებად, რომელიც მწიფდებოდა რუსეთში რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში”.

პუტინს, KGB-ს ყოფილ ოფიცერს, ქვეყნის მართვა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის დახმარებით უნდოდა. ამბობდა, რომ წითლებისა და თეთრების, კომუნისტებისა და მართლმადიდებლების, ტერორისა და ღმერთის შერიგება სურდა. ისტორიის განცდა რუსეთის წარსულის ორივე ასპექტის შედარებით ანალიზს მოითხოვდა. „მარადიულობის პოლიტიკამ“ პუტინს საშუალება მისცა, წითლები და თეთრები განეხილა, როგორც შესაძლებლობა უმწიკვლო რუსეთისთვის, პასუხი გაეცა გარე საფრთხეებზე. თუკი ყველა შიდა კონფლიქტში გარე მტერია დამნაშავე, მაშინ შესაძლოა, რუსების არც არჩევანი გაითვალისწინო და არც დანაშაული. სამაგიეროდ, შეგიძლია მემარჯვენე და მემარცხენე რადიკალების ორთავიანი ხატება გამოსახო. პუტინმა წინააღმდეგობები გააქარწყლა. ის მეთვალყურეობს ილინის მიმოქცევაში დაბრუნებას, თანაც ისე, რომ არაფრად ჩაითვალოს ის, რომ ეს უკანასკნელი საბჭოთა კავშირს

აკრიტიკებდა და არც იმას მიაქციონ ყურადღება, პოსტსაბჭოთა რუსეთის პოლიტიკიდან ჩეკისტების მოშორებას რეკომენდაციას რომ იძლეოდა.

2025 წელს პუტინმა ილინის ნეშტი მოსკოვში, მონასტერში გადაასვენა, იქ სადაც საბჭოთა საიდუმლო პოლიციამ საბჭოთა ტერორის დროს დახვრეტილი ათასობით ადამიანის გვამი დაწვა. ილინის გადმოსვენების დროს რუსულ მართლმადიდებელ ეკლესიას ყოფილი KGB-ს აგენტი ჩაუდგა სათავეში. დაკრძალვის დროს სამხედრო ორკესტრმა შეასრულა სახელმწიფო ჰიმნი, რომლის მელოდია საბჭოთა კავშირისდროინდელია. ილინის შრომები, პუტინს, როგორც ჩანს, ნიკიტა მიხალკოვმა გააცნო, ორივე ჰიმნის ტექსტების ავტორის შვილმა. მიხალკოვის (ილინის გულმოდგინე მოსწავლის) პოლიტიკურ მანიფესტში ვკითხულობთ: „რუსეთი მისი ყველა მოქალაქის სულიერი და მატერიალური ერთობაა“, „ბევრი ხალხისა და ტომის ათასწლიანი კავშირია“, რომელსაც გამოარჩევს „განსაკუთრებული ზენაციონალური, იმპერიული ცნობიერება“. „რუსეთი-ევრაზია“ არის „დამოუკიდებელი კულტურული და ისტორიული კონტინენტი, ორგანული, ეროვნული ერთობა, მსოფლიოს გეოპოლიტიკური და საკრალური ცენტრი“.

2009 წელს, როდესაც პუტინმა ილინის საფლავი ყვავილებით შეამკო, მას თან ახლდა არქიმანდრიტი ტიხონი (შევკუნოვი), რომელიც საბჭოთა ჯალათებს რუს პატრიოტებად თვლიდა. რამდენიმე წლის შემდეგ პუტინმა იოლად შეადარა კომუნისტური ღირებულებები ბიბლიურ სულისკვეთებას: „ცნობილია, რომ საბჭოთა კავშირში ერთი იდეოლოგია დომინირებდა. როგორი დამოკიდებულებაც არ უნდა გვქონდეს ამ იდეოლოგიის მიმართ, იქ ასევე იყო საკმაოდ მკაფიო, არსებითად კვაზირელიგიური ღირებულებებიც. თავისუფლება, ძმობა, თანასწორობა, სამართლიანობა – ეს ყველაფერი წმიდა წერილშია ჩაწერილი, ეს ყველაფერი იქ არის. და კომუნიზმის მშენებლების [მორალური] კოდექსი? ეს სუბლიმაციაა, პრიმიტიული ამონარიდებია ბიბლიიდან, ახალი არაფერი მოუგონიათ“. ილინს ზოგიერთმა მისმა თანამედროვემ „ღვთის სახელით მოქმედი ჩეკისტი“ უწოდა. ასევე დაკრძალეს ის ხელახლა მოსკოვში: ილინს პატივი მიაგეს ჩეკისტებმა და მღვდლებმა და ასევე – მღვდლებმა, რომლებიც იყვნენ ჩეკისტები და ჩეკისტებმა, რომლებიც იყვნენ მღვდლები.

ილინი სხეულითა და სულით დაუბრუნდა რუსეთს, საიდანაც მას წასვლა აიძულეს. და სწორედ ეს დაბრუნება, ამ ამბის წინააღმდეგობრიობისა და ფაქტების უგულებელყოფის მიუხედავად, ილინის ტრადიციისადმი პატივისცემის ყველაზე წმინდა გამოხატულებად იქცა. რა თქმა უნდა, ილინი ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა სისტემას. მაგრამ როცა ეს ქვეყანა აღარ

არსებობდა, მან ისტორიაში დაიდო ბინა. ილინისთვის კი წარსულში მომხდარი ფაქტები სხვა არაფერი იყო, თუ არა მასალა უმწიკვლოების მითის ასაგებად. ილინის შეხედულებები ოდნავ რომ გადავალაგოთ, შესაძლოა, დავინახოთ, რომ საბჭოთა კავშირი გარედან კი არ მოახვიეს რუსეთს თავს, როგორც ილინი თვლიდა, არამედ საბჭოთა კავშირი თავად იყო რუსეთი და შესაბამისად, უმწიკვლოც გახლდათ. ასე რომ, რუსებს შეეძლოთ საბჭოთა სისტემა აღექვათ, როგორც უმწიკვლო რუსეთის პასუხი დანარჩენი მსოფლიოს მტრულ დამოკიდებულებაზე. ახალი რუსეთის მმართველებმა სსრკ-ს მტრის ხელახლა დაკრძალვით პატივი მიაგეს საკუთარ საბჭოთა წარსულს.

ვასილი გროსმანმა, დიდმა რომანისტმა და ნაციონალ-სოციალიზმისა და სტალინიზმის დანაშაულების მემატიანემ, დაწერა: „ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება. ერთსა და იმავე ტრანსპორტში ორჯერ ვერ ახვალ“. „ტრანსპორტში ის „საკონცენტრაციო ბანაკს“ გულისხმობდა. ეს ჰერაკლიტეს გამონათქვამის პერიფრაზი იყო: „ყველაფერი მიედინება, ყველაფერი იცვლება. ერთ მდინარეში ორჯერ ვერ შეხვალ“. პუტინის მიერ ადაპტირებული ილინის მიხედვით, დრო მდინარე კი არ ყოფილა, რომელიც წინ მიედინება, არამედ ცივი, მრგვალი აუზია, სადაც ტალღები მუდამ შიგნით, ცენტრისკენ, იდუმალი რუსული სრულყოფილებისკენ მოძრაობს. ახალი არაფერი არასდროს მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო; დასავლეთი ისევ და ისევ ხელყოფს რუსეთის უმწიკვლოებას. უბრალოდ, უარი უნდა ვთქვათ ისტორიის, როგორც წარსულის შესწავლაზე, რადგან ამ დროს კითხვები გაგვიჩნდება.

მიხალკოვის 2014 წელს გადაღებულ ფილმში, „მზის დარტყმა“ ეთნიკურ რუსებს სასიკვდილოდ საიდუმლო პოლიციის ოფიცერი, ებრაელი ქალი გზავნის. ავტორი მიანიშნებდა, რომ ნებისმიერ უსამართლო მკვლელობას მუდმივად სჩადის ეთნიკურად ან სექსით უცხო. 2017 წელს, როდესაც რუსეთს მოუწია რამენაირად აღენიშნა ბოლშევიკური რევოლუციის ასი წლისთავი, რუსულმა ტელევიზიამ უჩვენა დრამატული სერიალი ლევ ტროცკის შესახებ, რითაც რევოლუცია ებრაელებს დაჰბრალდათ. სერიალის დადებითი გმირი, რა თქმა უნდა, ივან ილინი იყო. ასე რომ, რუსეთმა რევოლუციის ასი წლისთავი აღნიშნა კონტრრევოლუციონერი ფილოსოფოსის უკვდავყოფით, რომელიც ამბობდა, რომ რუსებმა წარსული უნდა გაიაზრონ, როგორც უმწიკვლოების ციკლები. მისი გაკვეთილი აითვისეს.

პუტინმა ილინის „მარადიულობის პოლიტიკის“ გათავისებასთან ერთად მიიღო რუსი ერის ილინისეული განმარტებაც. 2012 წლის 23 იანვარს,

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და საპრეზიდენტო არჩევნების წინ, პუტინმა გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ისაუბრა ილინის მოსაზრებებზე ეროვნული საკითხის შესახებ. პუტინი პოლიტიკური ოპოზიციას გარყვნილად და უცხოდ აცხადებდა, ხოლო ქვეყანაში არსებული პრობლემების შესახებ რუსეთის მხსნელსა და რუსეთის სხეულს მთელ პასუხისმგებლობას აცილებდა. პუტინმა, რომელიც ამტკიცებდა, რომ რუსეთი არსებითად უმწიკვლო „ცივილიზაციაა“, მოჯადოებული წრე შემოსაზღვრა. რუსეთი თავისი არსით ჰარმონიის მწარმოებელი და ექსპორტიორია და მას უნდა მისცემოდა საშუალება, ეს მრავალფეროვანი მშვიდობა გარეთ, მეზობლებთან შეეტანა.

ამ სტატიაში პუტინმა რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო საზღვრები გააუქმა. მომავალმა პრეზიდენტმა რუსეთი განსაზღვრა არა როგორც სახელმწიფო, არამედ, როგორც სულიერი მდგომარეობა. პირდაპირ იმოწმებდა ილინს და ამბობდა, რომ რუსეთში არც არის და არც შეიძლება იყოს ეთნიკური კონფლიქტები. ილინის აზრით, რუსეთში ნაციონალური საკითხი მტრების მიერაა გამოგონილი, დასავლეთიდანაა ნასესხები და არ არის ორგანული. ილინის მსგავსად, პუტინიც თვლის, რომ რუსული ცივილიზაცია მემკვიდრეობითაა განსაზღვრული. „რუსების დიდი მისიაა გააერთიანოს და გაამყაროს ცივილიზაცია. ასეთ სახელმწიფო-ცივილიზაციაში არ არსებობს ეროვნული უმცირესობები, ხოლო „მეგობრის ან მტრის“ აღიარების პრინციპი განისაზღვრება საერთო კულტურის საფუძველზე“. ის, რომ პოლიტიკა იწყება „მეგობრიდან ან მტრობიდან“ ფაშისტური იდეა, რომელიც ნაცისტმა სამართლის თეორეტიკოსმა კარლ შმიტმა ჩამოაყალიბა, ხოლო ილინმა – განავითარა.

რუსეთზე, როგორც ცივილიზაციაზე მსჯელობისას პუტინი გულისხმობდა ყველას, ვისაც ამ ცივილიზაციის ნაწილად თავად თვლიდა. უკრაინის სახელმწიფოზე ლაპარაკის ნაცვლად, რომლის სუვერენიტეტი, ტერიტორიული მთლიანობა და საზღვრები რუსეთმა ოფიციალურად აღიარა, პუტინმა ამჯობინა წარმოედგინა უკრაინელები, როგორც ხალხი, რომელიც გაფანტულია რუსეთის ტერიტორიის უკიდეგანო სივრცეში, „კარპატებიდან კამჩატკამდე" და ამდენად, რუსული ცივილიზაციის ნაწილია. და თუკი უკრაინელები უბრალოდ ერთი რუსული ჯგუფია (როგორიცაა „თათრები, ებრაელები და ბელორუსები“), მაშინ არც უკრაინის სახელმწიფოებრიობა არსებობს და პუტინს, როგორც რუს ლიდერს, უფლება აქვს უკრაინელი ხალხის სახელით ილაპარაკოს. მან მთელ მსოფლიოს გააგონა, რომ რუსები და უკრაინელები განუყოფლები არიან და ომით დაემუქრა ყველას, ვინც ეს ვერ

გაიგო: „ჩვენ ერთად ვცხოვრობდით საუკუნეების განმავლობაში. ჩვენ ერთად გავიმარჯვეთ ყველაზე საშინელ ომებში, ჩვენ გავაგრძელებთ ერთად ცხოვრებას. ვისაც ჩვენი გაყოფა უნდა, მხოლოდ ერთი შემიძლია ვუთხრა: ვერ ეღირსებით“.

2012 წლის იანვარში, როდესაც პუტინმა ეს ხელთათმანი ესროლა დასავლეთს, ამისთვის ყურადღება არავის მიუქცევია. საგაზეთო სტატიები რუსი ამომრჩევლებსა და მათი უკმაყოფილებას შეეხებოდა; არც ევროპაში, არც აშშ-ში და არც უკრაინაში არავინ განიხილავდა რუსეთ-უკრაინის ურთიერთობებს. პუტინმა, რომელიც ძალიან სწრაფად მოქმედებდა, ჩამოაყალიბა „მარადიულობის პოლიტიკა“, ხოლო რუსების პროტესტი არჩევნების გაყალბების წინააღმდეგ რუსეთზე ევროპულ და ამერიკულ შეტევად გადათარგმნა, სადაც ბრძოლის ველი უკრაინა უნდა ყოფილიყო. პუტინის აზრით, რუსების უფლებები, რომელთა ხმები გააყალბეს, სრულიად არ დარღვეულა, პირიქით, რუსეთს, როგორც ცივილიზაციას უსამართლოდ მოექცნენ, რადგან დასავლეთმა ვერ გაიგო, რომ უკრაინა რუსეთია. პუტინმა კი არ დაასუსტა რუსული სახელმწიფო მისი ხელისუფლების გადაცემის პრინციპის შელახვით, არამედ ევროპელები და ამერიკელები, აღიარებდნენ რა უკრაინას, უპირისპირდებოდნენ რუსულ ცივილიზაციას. 2012 წელს რუსეთის პარლამენტში პრეზიდენტის პირველი გამოსვლისას, პუტინმა დაადასტურა ერთგულება ცივილიზაცია-სახელმწიფოს იდეის მიმართ.

რუსეთის ფედერაციის, სუვერენული სახელმწიფოს საზღვრების ხელყოფას არავინ ცდილობდა. მაგრამ უკრაინაც ასევეა სუვერენული სახელმწიფო საკუთარი საზღვრებით. ის, რომ უკრაინა რუსეთისგან განსხვავებული სუვერენული სახელმწიფოა, საერთაშორისო სამართლის ელემენტარული საკითხია, ისეთივე, როგორც კანადა არ არის შეერთებული შტატები და ბელგია კი – საფრანგეთი. პუტინმა, რომელიც იმდროინდელი ვითარება უმწიკვლო რუსულ ცივილიზაციაზე შეტევად წარმოაჩენდა, უარი თქვა იმ სამართლებრივ პრინციპებზე, რომელთაც რუსეთი წინა ორი ათწლეულის განმავლობაში იცავდა და მაშველად განსაკუთრებული რუსული კულტურა მოიხმო. რუსეთი არამარტო უმწიკვლოა, არამედ გულუხვიც, რადგან მხოლოდ რუსული ცივილიზაციის საშუალებით შეუძლიათ უკრაინელებს გაიგონ, თუ ვინ არიან.

უკრაინის ყველაზე მორჩილ ლიდერებსაც კი გაუჭირდათ პუტინის მსჯელობის მიღება მათი საზოგადოების შესახებ. იმდროინდელი უკრაინის პრეზიდენტი იყო ვიქტორ იანუკოვიჩი, რუსებისთვის ნაცნობი, გასაგები და ადვილად პროგნოზირებადი ადამიანი, რომელიც 2004 წლიდან

დისკრედიტირებულია, რადგან მისი სახელით არჩევნები გააყალბეს. პუტინს აწუხებდა, რომ არჩევნები ხელახლა ჩატარდა და სხვა კანდიდატმა გაიმარჯვა. კიევში იანუკოვიჩის დასახმარებლად ამერიკელი პოლიტიკური სტრატეგი პოლ მანაფორტი გაგზავნეს, რომელიც შეერთებულ შტატებში რუსეთის გავლენის გასაზრდელად მუშაობდა. მანაფორტის დახმარებით იანუკოვიჩმა გარკვეული უნარები შეიძინა და კონკურენტების კორუფციის დამსახურებით მეორე შანსი მოიპოვა.

იანუკოვიჩმა კანონიერად მოიგო არჩევნები 2010 წელს და დაუყოვნებლივ შესთავაზა რუსეთს თითქმის ყველაფერი, რის შეთავაზებაც უკრაინას შეეძლო, მათ შორის – ყირიმში რუსული ფლოტის ბაზების ვადის გაგრძელება 2042 წლამდე. ამგვარად, უკრაინის ნატოში გაწევრიანების საკითხის განხილვა მინიმუმ სამი ათწლეულით გადაიდო და ეს ესმოდათ უკრაინელებს, რუსებს და ამერიკელებს. რუსეთმა გამოაცხადა, რომ დიდხანს აპირებდა შავ ზღვაში დარჩენას. იქ დიდი საბრძოლო, საპატრულო და სადესანტო ხომალდების, წყალქვეშა ნავებისა და სამხედრო თვითმფრინავების განლაგებას. რუსი ექსპერტი ვარაუდობდა, რომ რუსი სამხედროები შეინარჩუნებენ შავ ზღვაში თავის ბაზებს „ამ საუკუნის ბოლომდე“.

2012 წელს, პუტინის ახალი დოქტრინის შემუშავების შემდეგ მოულოდნელად კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა იდეა, რომ უკრაინა და რუსეთი საერთაშორისო სამართლის თანაბარი სუბიექტები იყვნენ და ხელშეკრულებები დაედოთ. 2013-14 წლებში რუსეთი ცდილობდა იანუკოვიჩი უძლურ მარიონეტად გადაექცია, შედეგად, უკრაინელები საკუთარ მთავრობის აუჯანყდნენ, რადგან მათი უფლებები დაარღვია, რეპრესიული კანონმდებლობა მიიღო და ძალადობას მიმართა. პუტინის იდეას რუსული ცივილიზაციის შესახებ და იანუკოვიჩის საშიშ ქმედებებს რევოლუცია მოჰყვა.

როცა ახალგაზრდა ისტორიკოსებმა პუტინს ჰკითხეს, თუ ვის თვლიდა ავტორიტეტად ისტორიის კვლევებში, მას მხოლოდ ერთი სახელი გაახსენდა: ივან ილინი. ცხადია, ილინი მრავალმხრივი ადამიანი იყო, თუმცა, ისტორიკოსი ნამდვილად არ ყოფილა. თუკი ილინის მარადიულმა კანონზომიერებებმა შეიძლება შეცვალოს ისტორიული დრო, ხოლო იდენტობამ – პოლიტიკა, მაშინ ხელისუფლების გადაცემის საკითხი, შესაძლოა, გადაიდოს.

2012 წელს რუსეთის პარლამენტისთვის პრეზიდენტის რანგში პირველი მიმართვისას პუტინმა საკუთარი ადგილი რუსულ დროის ლანდშაფტში

აღწერა, როგორც მარადიული ციკლის დასრულება: როგორც კიევის უძველესი მბრძანებლის დაბრუნება, რომელსაც რუსები ვლადიმერს უწოდებენ. „მარადიულობის პოლიტიკა“ მოითხოვს საყრდენ წერტილებს წარსულიდან, რომლებზეც შეიძლება აწმყოს დაფუძნება, ქვეყნის უმწიკვლოების ჩვენება, ლიდერის მმართველობის ძლევამოსილება და მომავალზე ფიქრის უაზრობა. პუტინმა პირველ ასეთ მომენტად 988 წელი მიიჩნია, როდესაც მისმა მოსახელემ, ადრეული შუა საუკუნეების მხედართმთავარმა, რომელიც ვოლოდიმირ/ვალდემარის სახელით იყო ცნობილი, ქრისტიანობა მიიღო. პუტინის წარსულის სახებაში, ვოლოდიმირ/ვალდემარი არის რუსი, რომლის ქრისტიანობაზე მოქცევამ სამუდამოდ დააკავშირა დღევანდელი რუსეთის, ბელარუსისა და უკრაინის მიწები.

პუტინის მეგობარი მღვდელი, ტიხონ შევკუნოვი ამბობდა: „ვისაც ნამდვილად უყვარს რუსეთი და მისთვის კარგი სურს, მხოლოდ ვლადიმერ ვლადიმიროვიჩზე უნდა ილოცოს, რომელიც რუსეთის სათავეში ღვთის ნებითაა მოვლენილი“. შესაბამისად, ვლადიმერ პუტინი არის რუსეთის მხსნელი, რომელიც ისტორიის მიღმაა („ღვთის ნებითაა“) და რუსეთის ათასწლოვან ისტორიას მისტიკურად აერთიანებს საკუთარ თავში, რადგან შესაბამისი სახელი ჰქვია. დრო მისტიკურ მარყუჟად იქცევა და თითქმის ცარიელდება. როდესაც მოსკოვში ვოლოდიმრის/ვალდემარის ქანდაკება დადგეს (თანამედროვე რუსული მართლწერით „ვლადიმირი“), რუსულ მედიაში იფრთხილეს და არ გაამხილეს, რომ მისი მმართველობის დროს ქალაქი მოსკოვი არ არსებობდა. სამაგიეროდ, რუსული ტელევიზია იმეორებდა, რომ ვლადიმირის ძეგლი რუსეთში პირველად დაიდგა, რაც არ ყოფილა სიმართლე. ვლადიმირის ქანდაკება კიევში 1853 წლიდან დგას.

ისტორიისთვის ეს პირი, ცნობილია, როგორც ვოლოდიმირი (კიევის მმართველი) და ვალდემარი (ასე მოიხსენიებენ სკანდინავიელები). ის წარმოშობით რუსი ვიკინგების კლანიდან იყო, რომლებიც სამხრეთისკენ მიდიოდნენ მდინარე დნიპროს გასწვრივ, რათა სამხრეთის პორტებში მონები გაეყიდათ. რუსებმა კიევი თავიანთ მთავარ სავაჭრო პუნქტად და საბოლოოდ კი – დედაქალაქად აქციეს. ვიკინგების თითოეული მეთაურის სიკვდილს სისხლიანი ბრძოლები ახლდა თან. ვოლოდიმირ/ვალდემარი იყო ნოვგოროდის პრინცი, სადაც (არაბული წყაროების მიხედვით) ისლამი მიიღო, რათა ახლომდებარე მუსლიმ ბულგარებთან ვაჭრობა ეწარმოებინა. კიევის დასაპყრობად მიმავალი ვოლოდიმირ/ვალდემარი გაემგზავრა სკანდინავიაში, რათა სამხედრო დახმარება მიეღო თავისი ძმების წინააღმდეგ

საბრძოლველად. მან მოიგო ეს ბრძოლა და დაამყარა რუსეთზე კონტროლი. ვოლოდიმირმა ოფიციალურად დანერგა წარმართული რიტუალები და ადგილობრივ ქრისტიანებს ჭექა-ქუხილის ღმერთს სწირავდა მსხვერპლად. მოგვიანებით, ვოლოდიმირმა ცოლად ბიზანტიის იმპერატორის და შეირთო. ამ პოლიტიკურ გადატრიალებას კიევის მმართველის გაქრისტიანება სჭირდებოდა. მხოლოდ მაშინ გახდა კიევის მმართველის ლეგიტიმაციის წყარო ქრისტიანობა და არა ოფიციალური წარმართობა.

ქრისტიანობას ხელი არ შეუძლია მამათა და შვილთა და ძმათამკვლელი ომებისთვის, რადგან მაშინ არ იყო დამკვიდრებული მემკვიდრეობის წესი. ვოლოდიმირმა დააპატიმრა თავისი ვაჟი სვიატოპოლკი და თავის მეორე ვაჟზე, იაროსლავზე უნდა გაელაშქრა, როდესაც 1015 წელს გარდაიცვალა. ვოლოდიმრის გარდაცვალების შემდეგ სვიატოპოლკმა სამი ძმა მოკლა, მაგრამ ბრძოლის ველზე დამარცხდა იაროსლავთან. შემდეგ სვიატოპოლკმა პოლონეთის მეფე და პოლონეთის არმია მოიხმო იაროსლავის დასამარცხებლად, ხოლო იაროსლავმა პეჩენგების არმია (პეჩენგების ხანი ბაბუამისის თავის ქალას იყენებდა სასმელად) დაიხმარა. სვიატოპოლკი ბრძოლაში დაიღუპა. შემდეგ კიდევ ერთმა ძმამ, მსტისლავმა გაილაშქრა იაროსლავზე და დაამარცხა ის. ბოლოს ძმებმა ზავი დადეს და ერთობლივად მართავდნენ. 1036 წლიდან, როცა მსტისლავი გარდაიცვალა, მეფობა იაროსლავს ერგო. ასე რომ, მემკვიდრეობის მოპოვებას მამა ვოლოდიმირიდან შვილ იაროსლავამდე ჩვიდმეტი წელი დასჭირდა და დასრულდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ვოლოდიმრის ათი ვაჟი გარდაიცვალა. ცხოვრება და კიევის ვოლოდიმირ/ვალდემარის მმართველობა, თუკი ისტორიად აღიქმება და არა „მარადიულობის პოლიტიკად“, სწორედ მემკვიდრეობის პრინციპის მნიშვნელობაზე მიგვანიშნებს.

ეჭვგარეშეა, რომ რუსეთის სახელმწიფოს შეუძლია გარკვეული დროით იარსებოს საზღვარგარეთ სამხედრო ძალის ზომიერად გამოყენებისა და ქვეყნის შიგნით კრიზისის მუდმივად წარმოქმნის წყალობით. ხელისუფლების გადაცემის მექანიზმის არარსებობით გაჩენილი წუხილის ექსპორტირება შესაძლებელია საზღვარგარეთ, რეალური საშიშროების წარმოქმნით და შესაბამისად, პროცესის ხელახალი გადატვირთვით. 2013 წელს რუსეთმა დაიწყო ევროპელი მეზობლების მოსყიდვა ან დაშინება, რომ მათ უარი თქვან საკუთარ ინსტიტუტებსა და ისტორიაზე. თუ რუსეთი ვერ გახდება დასავლეთი, დაე, დასავლეთი იქცეს რუსეთად. თუ ამერიკული დემოკრატიის ნაკლოვანებების გამოყენება შესაძლებელია იმისთვის, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტი რუსეთზე დამოკიდებული ადამიანი

გახდეს, მაშინ პუტინსაც შეუძლია დაამტკიცოს, რომ რუსეთს გარეთ მსოფლიო არაფრითაა უკეთესი, ვიდრე თავად რუსეთი. შეერთებული შტატები ან ევროკავშირი პუტინის სიცოცხლეში რომ დაშლილიყო, ის მარადიულობის ილუზიის შენარჩუნებას შეძლებდა.